



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია  
G E O R G I A  
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ24.242109210

თარიღი:02/04/2021

**“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 სექტემბრის N2300 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2021 წლის 31 მარტის №02-2421090254 მომართვის შესაბამისად,

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 სექტემბრის N2300 ბრძანების დანართში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, უწყებათაშორისი კომისიის დებულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით თანდართული სახით.

2. ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

